

საიდ. №75837/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №24-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №24-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 დეკემბრის №1552/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც შპს „GVMT Group“-ის სახელზე დარეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი „Голд Тбилиси Gold Tbilisi“ (საიდ. 75837/03) 33-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სასაქონლო ნიშანი „Голд Тбилиси Gold Tbilisi“ (საიდ. 75837/03) არ უნდა დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალისთვის, ვინაიდან იგი მსგავსია აპელანტი კომპანიის შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ სახელზე 32-ე და 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალისთვის რეგისტრირებული ადრინდელი პრიორიტეტის მქონე რიგი ნიშნებისა, რომლებიც შეიცავენ სიტყვიერ აღნიშვნას „Old Tbilisi“ (რეგისტრაციის N 13789, 13791, 22753, 13785, 13934, 13933, 16325, 16324, 24523), რადგან ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს. აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია როგორც ვიზუალურად (მხედველობით), ასევე, ფონეტიკურად (ჟღერადობით). ვიზუალური თვალსაზრისით, როგორც განცხადებული, ასევე, რეგისტრირებული ნიშნების შემადგენელი ნაწილები წარმოადგენენ მსგავს აღნიშვნებს. კერძოდ, მსგავსია განცხადებული და რეგისტრირებული ნიშნის პირველი სიტყვა - „Gold“ და „Old“. განცხადებული ნიშანი სრულიად შეიცავს რეგისტრირებული ნიშნის ასოებს, თანაც იმავე თანმიმდევრობით და მხოლოდ ერთი ასოთი განსხვავდება მისგან. გარდა ამისა, განცხადებულ ნიშანში ასომთავრულით შესრულებულია სიტყვების მხოლოდ პირველი ასოები, ისევე, როგორც აპელანტის ნიშნებში რეგისტრაციის ნომრით N22753, N16325, N16324 და N24523, ამასთან ერთად, ასომთავრულით შესრულებული „G“ და „O“ მოყვანილობით ჰგავს ერთმანეთს (ორივე ასო მომრგვალებული ფორმისაა), რაც კიდევ უფრო აძლიერებს ნიშნებს შორის არსებულ მსგავსებას. აპელანტის მითითებით, განცხადებული ნიშანი

წარმოადგენს სტანდარტული ასოებით შესრულებულ სიტყვიერ ნიშანს, დამატებითი ელემენტების გარეშე და შესაბამისად, არ უქმნის მომხმარებელს განსხვავებულ შთაბეჭდილებას. ამასთან, ერთად, ორივე ნიშანში დაუცველი ელემენტის სახით გამოყენებულია სიტყვა „Tbilisi“, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მომხმარებლის საერთო შთაბეჭდილებას ნიშნების მსგავსების შესახებ, რაც ზრდის მომხმარებლის მიერ ნიშნების აღრევისა და შესაბამისად, მისი შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებულ ნიშნებში გამოყენებული მსგავსი აღნიშვნები განაპირობებს მათ ფონეტიკურ მსგავსებას. განცხადებული ნიშანი გამოითქმის, როგორც „გოულდ თბილისი“, ხოლო რეგისტრირებული, როგორც „ოულდ თბილისი“, ამასთანავე, განსხვავებული ასო „გ“ წარმოადგენს უკანანუნისმიერ თანხმოვანს და გამოითქმისა ყრუდ ჟღერს, აქედან გამომდინარე, ნიშნები წარმოითქმის თითქმის იდენტურად, რაც ზრდის ამ ორი ნიშნის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აპელანტის განმარტებით, მართალია, სადავო ნიშანი შედგება ორი სიტყვისაგან, რომელთაგან თითოეულს გააჩნია სემანტიკური დატვირთვა (Gold – ოქრო, Tbilisi - თბილისი), თუმცა, მთლიანობაში სიტყვათა ამ კომბინაციას არა აქვს აზრობრივი ბმა, რადგან ქრთულ ენაზე ის ითარგმნება როგორც „ოქრო თბილისი“ (და არა „ოქროს თბილისი“). ამდენად, ეს ორი სიტყვა წარმოადგენს კომბინაციაში სრულიად ხელოვნურად არის დაწყვილებული და მოფიქრებულია შეგნებულად, რათა მაქსიმალურად მიმსგავსებულ იქნას რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებთან. მაშინ, როდესაც რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანში შემავალ ორივე სიტყვიერ ელემენტს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რასაც ემატება ის ფაქტი, რომ მათ კომბინაციაშიც აქვთ კონკრეტული სემანტიკური დატვირთვა (ძველი თბილისი), რაც მიუთითებს თბილისის ისტორიულ ნაწილზე - ძველ თბილისზე და მომხმარებელში იწვევს ტრადიციული ქალაქური ცხოვრების, მათ შორის დროსტარების ასოციაციას. ამის საპირისპიროდ სიტყვების „Gold“ და „Tbilisi“

კომბინაცია სრულიად ხელოვნურია და არაფერზე მიუთითებს. აღნიშნულს ემატება ნიშნებს შორის არსებული დიდი ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება (კერძოდ, განცხადებული ნიშანი სრულიად იმეორებს რეგისტრირებულ ნიშანს და განსხვავდება მისგან მხოლოდ ერთი ასოთი) და აქედან წარმოშობილი საერთო შთაბეჭდილება, რაც განაპირობებს მომხმარებლის მიერ ნიშნების აღრევის მაღალ ალბათობას. აპელანტის მითითებით, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ განცხადებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი არ არის დაზუსტებული და სრულად მოიცავს 33-ე კლასს (ალკოჰოლიანი სასმელი). ამრიგად, განმცხადებელს საშუალება მიეცემა, აწარმოოს ყველა ის ალკოჰოლიანი სასმელი, რომლის მიმართაც დაიცვა თავისი ნიშნები შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ და რომლის პროდუქციაც პოპულარობით სარგებლობს ბაზარზე, რაზეც მეტყველებს ამ მწარმოებლის მიერ საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 დეკემბრის №1552/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც შპს „GVMТ Group“-ის სახელზე დარეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი „Голд Тбилиси Gold Tbilisi“ (საიდ. 75837/03) 33-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

გასაჩივრებული ნიშნის მფლობელი შპს „GVMТ Group“ არ ეთანხმება წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს შემდეგი გარემოებების გამო:

შპს „GVMТ Group“ განმარტებით, საქპატენტის მიერ სადავო სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზისას განხორციელდა, როგორც მისი გამოსახულებითი ელემენტების, ასევე სიტყვიერი ნაწილის იდენტური, ან მსგავსი დაპირისპირებული სიტყვიერი ნიშნის, ადგილწარმოშობის დასახლების, გეოგრაფიული აღნიშვნის და/ან პარიზის კონვენციის 6 ter მუხლით დაცული სიმბოლოების მიხედვით იდენტურობისა და მსგავსების შესახებ ექსპერტიზა, რის შედეგად არ გამოვლენილა იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშნის

რეგისტრაცია. რაც შეეხება აპელანტის სუბიექტურ შეხედულებას, თითქოს დაპირისპირებული ნიშნები ერთმანეთის მსგავსია, რის გამოც ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმა განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებით საფუძველს წარმოადგენს და სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“. გასაჩივრებული ნიშნის მფლობელის განმარტებით, აპელანტმა სასაქონლო ნიშნების მსგავსებაზე უნდა იმსჯელოს სასაქონლო ნიშნის კანონისმიერი განმარტებიდან გამომდინარე - „სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან“. აპელანტს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ „სიმბოლოთა მსგავსების გამო“ მომხმარებელს გაუჭირდება სადავო და მათ მიერ ნაწარმოები საქონლის ერთმანეთისაგან განსხვავება. დაინტერესებული მხარის პოზიციით, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 102-ე მუხლის მიხედვით, აპელანტზეა იმის მტკიცების ტვირთი, რომ ერთი საწარმოს მიერ ნაწარმოები საქონელი განსხვავდება მეორე საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციისაგან. აპელანტის მტკიცების საგანია, დაადასტუროს მისთვის რა უარყოფითი ეკონომიკური შედეგი დადგა გასაჩივრებული ბრძანების გამოცემით, სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით და სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გამო. პროდუქციის აღრევის ეკონომიკურად რა საშიში გამოხატულებაა სახეზე, რომ დაპირისპირებული ნიშნების ქვეშ წარმოებული პროდუქცია ერევა

მომხმარებელს ერთმანეთში. შპს „GVMT Group” განმარტებით, აპელანტი აღნიშნავს, რომ მისი პროდუქცია პოპულარობით სარგებლობს ბაზარზე და აქედან გამომდინარე, სადავო სასაქონლო ნიშნის მფლობელმა კომპანიამ მსგავსი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოისურვა. ის ფაქტი, რომ საქონელი პოპულარულია და ბაზარზე პოპულარობით სარგებლობს, არ არის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. შესაბამისად, აპელანტი, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 102-ე, 106-ე მუხლებიდან გამომდინარე, აღნიშნულის მტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლებული არ არის. ხოლო მტკიცებულებები, იმის შესახებ, რომ აპელანტის მიერ მოხმობილი ფაქტი სინამდვილეს შეესაბამება, არ არის წარმოდგენილი. სასაქონლო ნიშნების მსგავსებაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ მომხმარებლისათვის, აპელანტის სასაქონლო ნიშანი და სადავო ნიშანი ვერ იქნება დაკავშირებული ერთი სავარაუდო წარმოშობის წყაროსთან. შესაბამისად, პროდუქციის აღრევას ვერ ექნება ადგილი. მიუხედავად პროდუქციის მწარმოებლისა თუ ადგილისა, ეს სასაქონლო ნიშნები, აპელანტის შემთხვევაში შეიძლება ასოცირდებოდეს მხოლოდ ძველ თბილისთან, ხოლო სადავო სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში სასაქონლო ნიშანი მომხმარებლისათვის შეიძლება ასოცირდებოდეს წარმოებული პროდუქციის ოქროს ხარისხთან, რომელიც წარმოიშვა „ქვეყნის ცენტრში“ – „დედაქალაქში - თბილისში“. დაინტერესებული მხარის პოზიციით, აპელანტს უფლება არ აქვს სხვა პირს აუკრძალოს ისეთი ნიშნის რეგისტრაცია და გამოყენება, რომელიც შეიცავს დასახელებას - „თბილისი“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი არ შეიცავს აპელანტის სასაქონლო ნიშნის იდენტურ სიმბოლოს, ვინაიდან მისი შინაარსიდან გამომდინარე, სიტყვა „Old” და სიტყვა „Gold”-ს შორის არსებული განმასხვავებელი სიმბოლო „G“, სადავო ნიშანს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან ყველა ასპექტით განასხვავებს. სადავო სასაქონლო ნიშანში განსხვავებული ასოს არსებობა, ცვლის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების

შინაარსობრივ დატვირთვას. შესაბამისად, ნიშნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სემანტიკური თვალსაზრისითაც. დაინტერესებული მხარის განმარტებით, დაპირისპირებულ ნიშნებს შორის მსგავსება უნდა დადგინდეს არა მხოლოდ მათი ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსებით. მსგავსება სახეზეა, თუკი მომხმარებლისათვის მოხდება პროდუქციის აღრევა და მისთვის რთულად გასარჩევი იქნება ორი სხვადასხვა მწარმოებლის მიერ ნაწარმოები საქონელი. დაპირისპირებულ ნიშანთა სიმბოლოების ერთობლიობით შესაძლებელი იქნება ამ ნიშნებით ნიშანდებული საქონლის ერთმანეთისაგან განსხვავება. შესაბამისად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები არ არის იმდენად მსგავსი, რომ მათ აღრევას ჰქონდეს ადგილი მომხმარებლისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „GVMT Group” ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 დეკემბრის №1552/03 ბრძანების ძალაში დატოვებას და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტები, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „Голд Тбилиси Gold Tbilisi“ (საიდ. 75837/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „Old Tbilisi” (რეგ. N13789, 13791, 22753, 13785, 13934, 13933, 16325, 16324, 24523) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებულ ნიშნებში

არსებული სიტყვიერი აღნიშვნა „Tbilisi” წარმოადგენს ნიშნის დაუცველ ნაწილს, შესაბამისად, ნიშნების შედარებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს დაპირისპირებულ ნიშნებში არსებულ სხვა სიტყვიერ ელემენტებზე „Голд –Gold” და „Old”. აღნიშნული სიმბოლოები წარმოადგენენ მოკლე სიტყვიერ აღნიშვნებს, რომლებშიც ერთი განსხვავებული ასოს არსებობამაც კი შესაძლებელია შექმნას მათ შორის ვიზუალური განსხვავება. სადავო სასაქონლო ნიშანი „Gold Tbilisi” შეიცავს დამატებით ასოს „G”, რომელიც სძენს ნიშნებს საკმარის ვიზუალურ განსხვავებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სასაქონლო ნიშანი „Голд Тбилиси Gold Tbilisi” წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს, მაშინ როდესაც სასაქონლო ნიშანი „Old Tbilisi” სიტყვიერი ელემენტების გარდა შეიცავს გამოსახულებას, კერძოდ ნიშნებზე გამოსახულია ძველი თბილისის ხედი. კოლეგია თვლის, რომ აღნიშნული გარემოება აშკარას ხდის ნიშნებს შორის არსებული ვიზუალურ განსხვავებას.

ამასთან, კოლეგია მიიჩნევს, რომ ნიშნებს განსახვავებული ფონეტიკა გააჩნიათ. სადავო სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „გოლდ თბილისი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი - „ოლდ თბილისი“.

რაც შეეხება ნიშნების სემანტიკას, კოლეგია აღნიშნულთან დაკავშირებით, მიიჩნევს, რომ ნიშნები განსხვავებულია სემანტიკურად, რადგან ჩვეულებრივი ქართველი მომხმარებლისთვის სიტყვები „Gold” და „Old” წარმოადგენს კარგად ცნობილ ინგლისურ სიტყვებს, შესაბამისად ქართველი მომხმარებლისათვის კარგად არის ცნობილი ამ ორივე აღნიშვნის სემანტიკური მნიშვნელობა. სადავო სასაქონლო ნიშანში არსებული სიტყვიერი აღნიშვნა „Gold” ინგლისური ენიდან, ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ოქრო“, ხოლო დაპირისპირებულ ნიშანში არსებული სიტყვიერი აღნიშვნა „Old” ინგლისურიდან ქართულზე ითარგმნება, როგორც „ძველი“.



ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ნიშნების სიტყვიერ ნაწილებს შორის არსებული მსგავსების მიუხედავად, თუ კი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები სემანტიკურად განსხვავებულია, ისინი არ მიიჩნევა აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის „Голд Тбилиси Gold Tbilisi“ (საიდ. 75837/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 დეკემბრის №1552/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი:

ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

მ. ჭიჭინაძე

ქ. კილაძე